

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ბრძანება N**

ქ. ბათუმი

24 ივლისი, 2019 წ.

**ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 09 სექტემბრის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ბსუ-ს შინაგანაწესის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (MES 2 19 00977000, 23.07.2019) საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. დადგინდეს ბსუ-ს საერთო საცხოვრებლის (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15) ფართით სარგებლობის საფასური (გადასახდელი) შემდეგი ოდენობით:
  - ა) ბსუ-ს სტუდენტისათვის/პროფესიული სტუდენტისათვის - ყოველთვიურად 100 ლარი;
  - ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე ბსუ-ს სტუდენტისათვის - ყოველთვიურად 100 აშშ დოლარი (აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში);
  - გ) სხვა პირთათვის/ბსუ-ს სტუმრებისათვის - ყოველთვიურად 100 აშშ დოლარი (აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში), ხოლო ერთი დღის (მომდევნო დღის 12:00 სთ-მდე) – 20 ლარი.
2. ბსუ-ს სტუდენტისათვის/პროფესიული სტუდენტისათვის საერთო საცხოვრებლით სარგებლობისათვის დაწესდეს შეღავათები **დანართი 1-ის** შესაბამისად.
3. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ბსუ-ს სტუდენტისათვის (მხოლოდ საბაკალავროს საფეხურზე), რომლებიც 2018-2019 წლის გაზაფხულის სემესტრში სარგებლობდნენ ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15), 2019 წლის 2 სექტემბრიდან დაწესდეს სპეციალური საშეღავათო ფასი და საცხოვრებლით სარგებლობის საფასურად განესაზღვროთ ყოველთვიურად 50 ლარი, თუკი „ბსუ-ს საერთო საცხოვრებლის ფართით სარგებლობის წესის“ შესაბამისად ყოველწლიურად მოიპოვებენ საერთო საცხოვრებლით სარგებლობის უფლებას (გაფორმდება

შესაბამისი ხელშეკრულება) და მათზე უფრო ნაკლები საშეღავათო ფასი არ გავრცელდება წინამდებარე ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად.

4. ბსუ-ს სტუდენტისათვის/პროფესიული სტუდენტისათვის საერთო საცხოვრებლით სარგებლობისათვის დაწესებული შეღავათების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული იქნეს კომისიურად, საერთო საცხოვრებლით სარგებლობის წესის შესაბამისად და გადაიხედოს სემესტრულად.
5. 2019 წლის 2 სექტემბრიდან ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 5 ოქტომბრის N01-11/67 ბრძანება.
6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ბსუ-ს საერთო საცხოვრებლის მენეჯერს და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს.
7. ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს, ბსუ-ს საერთო საცხოვრებლის მენეჯერს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
8. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე არსებულ საინფორმაციო დაფებზე და ვებგვერდზე (ველში „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“ და „სწავლა“).
9. ბრძანება სტუდენტებზე და პროფესიულ სტუდენტებზე გავრცელდეს 2019 წლის სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.
10. ბრძანება ძალაში ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ალექსანდრე მითაიშვილი

დანართი 1

N	შეღავათის კატეგორიის დასახელება/სტატუსი	შეღავათის პროცენტული ოდენობა (%)	შენიშვნა
1	მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტი - 91 ქულა და ზევით	80	
2	რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (70 000 -10 000 ქულამდე)	50	
3	რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (10 000 და ნაკლები ქულა)	70	
4	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულის ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებულის შვილი ან საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის შვილი;	50	
5	და ან/და ძმა არის ბსუ-ს სტუდენტი და ცხოვრობს ბსუ-ს საერთო საცხოვრებელში	50	
6	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი	50	
7	მაღალმთიანი რაიონში მცხოვრები სტუდენტები	70	